ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №29

07.12.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ეკა ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 22 ნოემბრის №12-0318326180-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 22 ნოემბრის №12-0318326191-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 22 ნოემბრის №12-0318326180-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - **№01182951987-67; №011822684-67; №17-01183043296-67**).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 3 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი - **ქ. თბილისში, ჩახრუხაძის ქუჩა №25-№27-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისი, შავთელისა და ავლევის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ელექტროქვესადგურთან არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.016.045, ნაკვეთი: №16/4) ნაწილზე (ფართობი: 5 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№01182951987-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182951987-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ჩახრუხაძის ქუჩა №25-№27-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისი, შავთელისა და ავლევის ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ ელექტროქვესადგურთან არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.016.045, ნაკვეთი **№16/4**) ნაწილზე (ფართობი: 5 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს და სატრანსპორტო ზონა ვრცელდება (გადასულია) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი - **ქ. თბილისში, ა. წერეთლის გამზირი №89-ში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.004.089; №01.13.06.004.088) და მის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ფართობი: 274 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№01182822684-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182822684-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ა. წერეთლის გამზირი №89-ში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.004.089; №01.13.06.004.088) და მის მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე (ფართობი: 274 კვ.მ.) მოთხოვნილია

სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს და სატრანსპორტო ზონა (ტზ-1) ვრცელდება (გადასულია) საკუთრებაში არსებული მიწის მცირე ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი - **ქალაქ თბილისში, თემქა №138 სკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.02.015.037) მომიჯნავედ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 2916 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილების შესახებ (№17-01183043296-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის 2018 წლის 23 ოქტომბრის №1200 წერილის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, №17-01183043296-67 განაცხადით მოთხოვნილია ქალაქ თბილისში, თემქა, №138 სკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.02.015.037) მომიჯნავედ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 2916 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია ეკლესიის მშენებლობა. ტერიტორიის მდებარეობა და არსებული მწვანე საფარი იძლევა მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილის ათვისებისა და სამშენებლოდ ისე განვითარების საშუალებას, რომ მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავები მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული. ასევე, 2018 წლის 7 ნოემბრის №18-01183113848 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმოდგენილ ტერიტორიაზე (ფართობი: 2916 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილებას, მწვანე ნარგავების მაქსიმალურად შენარჩუნებით.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ბ. დავითულიანმა, ბ-ნმა რ. სოხაძემ და ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა:

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული ხე-ნარგავების შენარჩუნების თაობაზე;
- საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ვინაობის შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიაზე განსათავსებელი შენობის (ეკლესიის) პარამეტრებისა და კონფიგურაციის თაობაზე.

ბ-ნმა რ. სოხაძე ასევე დაინტერესდა, ვარკეთილი 3-ში, მოსახლეობის მოთხოვნის მიუხედავად, ეკლესიის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემასა და მასზე

მშენებლობის პროცესის დაწყებაზე მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურის მიერ უარის თქმის მიზეზით.

ბ-ნი გ. დოხტურიშვილი დაინტერესდა მესამე მასივში, სადაც არ არის საკულტო ნაგებობა (ეკლესია) და მოსახლეობის დიდი სურვილისა და თხოვნისა, ეკლესიის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემასა და მასზე მშენებლობის პროცესის დაწყებაზე მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურის მიერ უარის თქმის მიზეზით.

დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა მომხსენებელმა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ, რომლის განმარტებით:

- საპროექტო ტერიტორიზე ხე-ნარგავების ჭრა არ იგეგმება. მით უმეტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილის საფუძველზე, საქალაქო სამსახური წინააღმდეგი არ არის განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება მწვანე ნარგავების მაქსიმალურად შენარჩუნებით.

- საპროექტო ტერიტორია ამ ეტაპზე არ წარმოადგენს საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებას და ფუნქციური ზონის ცვლილების შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო დაიწყებს საქართველოს საპატრიარქოსთვის ქონების გადაცემის საკითხის განხილვას.

- მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არის შესაბამისი (ხე-ნარგავებისგან თავისუფალი) ადგილი ეკლესიის მშენებლობისთვის, არსებული ფუნქციური ზონა არ იძლევა სამშენებლოდ ტერიტორიის განვითარების საშუალებას, ხოლო სარეკრეაციო ზონა 2-ით ცვლილების შემდგომ, მშენებლობა დაშვებულია, სარეკრეაციო ზონა 2 დატვირთვის შესაბამისად.

ბ-ნი რ. სოხაძისა და ბ-ნი გ. დოხტურიშვილის მიერ ვარკეთილი 3-ში და მესამე მასივში ეკლესიების მშენებლობის თაობაზე შესაბამისი საქალაქო სამსახურის მიერ უარის თქმის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) განმარტებით, ამ ეტაპზე ინფორმაციას არ ფლობს. შესაძლოა, უარის მიზეზი ყოფილიყო ქონების მესაკუთრის/განმკარგავის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო) თანხმობის უქონლობა ან/და საქართველოს საპატრიარქოს მოთხოვნის არარსებობა. თუმცა, საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხებთან (სულ: 3 წინადადება - №01182951987-67; №01182822684-67; №17-01183043296-67) დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის, ასევე, სხდომაზე დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხის მოსმენის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი და შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 22 ნოემბრის №12-0318326180-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01182951987-67; №01182822684-67; №17-01183043296-67) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 22 ნოემბრის №12-0318336191-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - **№011831437-67; №01183182002-67**).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 2 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი - **ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის №12-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.059) ნაწილზე (ფართობი: 39 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№011831437-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№011831437-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №12-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.059) ნაწილზე, 39 კვ.მ. ფართობზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა ვრცელდება (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე, 2004 წლის აეროგადაღების მიხედვით არ აღინიშნება საგზაო ან საფეხმავლო გზა, რასაც ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 14 ნოემბრის №01183183168 წერილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი - **ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქუჩის №16-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.33.008.022, ნაკვეთი: №8/22) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ცვლილების ფართობი: 2392 კვ.მ.) სანიტარული ზონის (სანზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილების შესახებ (№01183182002-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01183182002-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩის №16-ში (ნაკვეთი: 8/22) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.33.008.022) და ჩრდილოეთის მხრიდან მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (ცვლილების ფართობი: 2392 კვ.მ.) მოთხოვნილია სანიტარული ზონის (სანზ) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. ფაქტობრივი მდგომარეობით დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სამრეწველო ზონის შემადგენელ-განუყოფელ სივრცით ნაწილს ისევე, როგორც მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ: №№01.19.33.008.255; 01.19.33.001.117; 01.19.33.008.015). ასევე, არსებული ტერიტორია არ შეესაბამება გავრცელებულ სანიტარულ ზონას, არ გააჩნია მავნე ზემოქმედებისგან დამცავი ან გამაჯანსაღებელი ფუნქცია. არსებული მდგომარეობით ეს უკანასკნელი მოიცავს შენობა-ნაგებობების საძირკვლის ნარჩენებით დაკავებულ არეალს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო

შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე არეალზე განსაზღვრულია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) რეჟიმი.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხებთან (სულ: 2 წინადადება - №011831437-67; №01183182002-67) დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა და შეკითხვები არ დასმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 22 ნოემბრის №12-0318336191-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №011831437-67; №01183182002-67) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე